საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/59

ქ. ბათუმი **17 ნოემბერი, 2023 წელი**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ბსუ-ს ფეხბურთის გუნდის გაწევრიანების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე–10 მუხლის, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 14 ნოემბრის MES 7 23 0001549819 სამსახურებრივი ბარათის ,,ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 23 დეკემბრის N07-01/57 გადაწყვეტილების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის სხდომის №07-02/13 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაწევრიანდეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში და ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს ამავე ასოციაციაში ყოველწლიური საწევრო გადასახდელის - 7 000 ლარის გადარიცხვა.
2. **ბსუ-ს წლიური ბიუჯეტის პროექტის** მომზადებისას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ყოველწლიურად გაითვალისწინოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ყოველწლიური საწევრო შენატანის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯი.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა

კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**